



ფაკულტეტი: ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა

პროგრამის სახელწოდება: საერთაშორისო ურთიერთობები

პროგრამის ხელმძღვანელი:

პროფესორი ბექა დვალი,

პროფესორი ბესიკ ობოლაძე

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი (Bachelor in International Relations).

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში - 60 კრედიტს, სემესტრში - 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრედიტ/საათს, რაც მოიცავს როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და სხვ.), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისთვის, აგრეთვე, საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისთვის განკუთვნილ კრედიტ/საათს).

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საბაკალავრო პროგრამაზე „საერთაშორისო ურთიერთობები“ სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეები ირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შესაძლებელია შპს უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემიის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის.

პროგრამის მიზნები:

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია:
- გააცნოს სტუდენტს საერთაშორისო ურთიერთობების ფართო სფერო და შეასწავლოს დარგის ძირითადი ცნებები, თეორიები და მეთოდები, მომიჯნავე თუ სხვა სპეციალიზებული დისციპლინები;
- მისცეს სტუდენტს კომპლექსური თეორიული ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში; განუვითაროს ანალიტიკური აზროვნება, საერთაშორისო თუ საშინაო პროცესების, მსოფლიო, რეგიონული თუ საშინაო პოლიტიკური მოვლენების შეფასებისა და ანალიზის უნარი;
- თეორიული განათლების პარალელურად, გამოუმუშავოს ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების კვალიფიკაციის მქონე ბაკალავრისთვის.
- მოამზადოს სტუდენტი მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის სხვადასხვა მიმართულებით.
- მომზადდება სოციალურ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანესი დარგის, საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი სპეციალისტი, რომლის ცოდნა, პრაქტიკული უნარები და ზოგადი კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას როგორც სოციალური მეცნიერებების ფართო, ისე საერთაშორისო ურთიერთობების ვიწრო პროფილით, სხვადასხვა სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, დიპლომატიურ სამსახურებში და სხვა.

პროგრამის სტრუქტურა:

საბაკალავრო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ მოცულობა 240 კრედიტს მოიცავს, რომელიც შემდეგნაირად

არის გადანაწილებული:

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 150 კრედიტი

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები 25 კრედიტი

თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები - 29 კრედიტი

თავისუფალი არჩევითი კომპონენტები - 36 კრედიტი

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისათვის აუცილებელია სასწავლებლის სავალდებულო სასწავლო კურსის ინგლისურ ენის შესწავლა, მიუხედავად იმისა, თუ რომელი უცხო ენა აქვთ ჩაბარებული ეროვნულ გამოცდებზე.

შენიშვნა: სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს, დასკვნის საფუძველზე თავისუფლდებიან ინგლისური ენის სასწავლებლის სავალდებულო 20 კრედიტისგან და ეს სავალდებულო კრედიტები უნდა შეავსონ თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებით.

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლა მიზნად ისახავს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული თეორიებისა და პრინციპების, სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის შესახებ ფართო ცოდნის მიცემას, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების ხელშეწყობას, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარის ჩამოყალიბებას, პროფესიული მოღვაწეობისათვის აუცილებელი ღირებულებების ფორმირებას.

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში 40 კრედიტი ეთმობა უცხო ენების შესწავლას. სტუდენტები შეისწავლიან დარგობრივ ინგლისურ ენას (20 კრედიტი) და ფრანგულ ენას/გერმანულ ენას (20 კრედიტი).

საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი) – ორიენტირებულია თეორიული ხასიათის ნაშრომის შესრულების და პრეზენტაციის უნარების განვითარებაზე: საკვლევი თემის შერჩევა და სამუშაო გეგმის შედგენა, ინფორმაციის მოძიება და სათანადოდ დამუშავება, დასკვნების ჩამოყალიბება და საჯაროდ დაცვა. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას ხდება ცოდნის გაღრმავება კონკრეტული საკვლევი თემის ფარგლებში

და ვლინდება საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნის დონის და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტი შესწავლა ორიენტირებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში შეძენილი ფართო ცოდნის გაღრმავებაზე.

თავისუფალი სასწავლო კომპონენტს სტუდენტები ირჩევენ სასწავლებელში მოქმედი ნებისმიერი საგანამანათლებლო პროგრამიდან 36 კრედიტის ფარგლებში. თავისუფალი სასწავლო კომპონენტი სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, მისი ინტერესების შესაბამისად, დაეუფლოს დამატებით ცოდნას ყოველგვარი ფორმალური გამაერთიანებელი სქემის გარეშე სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების მეშვეობით. აღნიშნული ხელს უწყობს სტუდენტთა ინტელექტუალურ განვითარებას, ამასთანავე ეხმარება მათ პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში, გაზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობებს.

შენიშვნა: სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებებიდან გამომდინარე პროგრამის განმახორციელებელი პირები ვალდებული არიან იმუშაონ სტუდენტებთან ინდივიდუალურად.

სწავლის შედეგები:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

1. კურსდამთავრებული აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს და შეუძლია კრიტიკულად გაიაზროს: საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებები, პრინციპები, თეორიები და წყაროები; სამეცნიერო წრეებში არსებული თანამედროვე თეორიული დებატები; საბაზისო თუ მომიჯნავე დისციპლინები; მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, მსოფლიო პოლიტიკის ტენდენციები, გლობალური და რეგიონული გამოწვევები; ევროპასთან ინტეგრაციის საკითხები; ევროკავშირის ისტორია, სტრუქტურა და პოლიტიკა; საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობა; არჩეული დისციპლინის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები და სხვ.
2. შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
3. შეუძლია: საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში წარმატებით გამოყენება; საერთაშორისო პროცესების გაანალიზება, დისკუსიებში მონაწილეობა, კრიტიკული მსჯელობა, საერთაშორისო

მოვლენებისადმი საკუთარი პროფესიული ხედვის ჩამოყალიბება; საკუთარი მოსაზრებების არგუმენტებით გამყარება და დასაბუთება;

4. შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.
5. კურსდამთავრებულს აქვს: საერთაშორისო ურთიერთობების ამა თუ იმ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მასალებისა და მონაცემების შეგროვების, გააზრების, სისტემატიზაციისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; მიღებული ინფორმაციის დამუშავების, შეფასების, განზოგადების შედეგად შესაბამისი გადაწყვეტილების ჩამოყალიბების უნარი.
6. კურსდამთავრებულს აქვს: საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის მომზადების უნარი როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე შესაბამისი დარგობრივი ლიტერატურის დამუშავების მეშვეობით; სწავლისა და კვლევის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენების უნარი; პროფესიულ წრეებთან თუ არასპეციალისტებთან დებატების წარმართვის, მოლაპარაკებების წარმოების, დისკუსიებში ჩაბმის, საკუთარი მოსაზრებების წამოყენებისა და დაცვის უნარი. მის ხელთ არსებული ინფორმაციის ფართო საზოგადოებისთვის წერილობით ან პრეზენტაციის სახით წარდგენის უნარი.
7. კურსდამთავრებულს აქვს: საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი; დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის მიღების უნარი;
8. კურსდამთავრებულს აქვს: ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა, პროფესიული და ეთიკური ნორმებისა და აკადემიური პატიოსნების დაცვის უნარი; საერთაშორისო დონეზე აღიარებული ზოგადსაკაცობრიო თუ ეროვნულ დონეზე არსებული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	პროგრამის სწავლის შედეგი 5	პროგრამის სწავლის შედეგი 6	პროგრამის სწავლის შედეგი 7	პროგრამის სწავლის შედეგი 8
1. გააცნოს სტუდენტს საერთაშორისო ურთიერთობების ფართო სფერო და შეასწავლოს დარგის ძირითადი ცნებები, თეორიები და	•		•	•				•

მეთოდები, მომიჯნავე თუ სხვა სპეციალიზებული დისციპლინები;								
2. მისცეს სტუდენტს კომპლექსური თეორიული ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში; განუვითაროს ანალიტიკური აზროვნება, საერთაშორისო თუ საშინაო პროცესების, მსოფლიო, რეგიონული თუ საშინაო პოლიტიკური მოვლენების შეფასებისა და ანალიზის უნარი;	•	•	•					•
3. თეორიული განათლების პარალელურად, გამოუმუშავოს ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების კვალიფიკაციის მქონე ბაკალავრისთვის.	•				•			
4. მოამზადოს სტუდენტი მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის სხვადასხვა მიმართულებით.					•	•	•	
5. მომზადდება სოციალურ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანესი დარგის, საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი სპეციალისტი, რომლის ცოდნა, პრაქტიკული უნარები და ზოგადი კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას როგორც სოციალური მეცნიერებების ფართო, ისე საერთაშორისო ურთიერთობების ვიწრო პროფილით, სხვადასხვა სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, დიპლომატიურ სამსახურებში და სხვა.	•	•	•	•			•	•

პროგრამის სტრუქტურა:

საერთაშორისო ურთიერთობები

სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სულ საათების რაოდენობა	ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობა	შუალედური გამოცდის საათების რაოდენობა	დასკვნითი გამოცდის საათების რაოდენობა	დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა	სწავლების სემესტრი (შემოდგომის/ გაზაფხულის)		სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	
								შემ.	გაზ.		
სასწავლებლის სასწავლო კურსები - 29 ECTS											
აკადემიური წერა და კრიტიკული აზროვნება	5	125	13	13	2	3	69	I		წინაპირობის გარეშე	სოფიომნელძე
ინფორმაციული ტექნოლოგიები	4	100		39	2	3	56		II	წინაპირობის გარეშე	ნინა ოხიჯორია
ინგლისური ენა 1	5	125		39	2	3	81	I		წინაპირობის გარეშე	მანანა შელია
ინგლისური ენა 2	5	125		39	2	3	81	39	II	ინგლისური ენა 1	მანანა შელია
ინგლისური ენა 3	5	125		39	2	3	81	39		ინგლისური ენა 2	მანანა შელია
ინგლისური ენა 4	5	125		39	2	3	81		IV	ინგლისური ენა 3	მანანა შელია
სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 150 ECTS											
ფრანგული ენა 1/გერმანული ენა 1	5	125	13	26	2	3	81	I		წინაპირობის გარეშე	გიული კალატოზიშვილი ლალი რატიანი
ფრანგული ენა 2/გერმანული ენა 2	5	125	13	26	2	3	81		II	ფრანგული ენა 1 გერმანული ენა 1	გიული კალატოზიშვილი ლალი რატიანი
ფრანგული ენა 3/გერმანული ენა 3	5	125	13	26	2	3	81	III		ფრანგული ენა 2 გერმანული ენა 2	გიული კალატოზიშვილი ლალი რატიანი

ფრანგული ენა 4/გერმანული ენა 4	5	125	13	26	2	3	81		IV	ფრანგული ენა 3 გერმანული ენა 3	გიული კალატოზიშვილი ლალი რატიანი
ინგლისური ენა 1(დარგობრივი)	5	125	13	26	2	3	81		V	ინგლისური ენა 4	ირინე არჯევანიძე
ინგლისური ენა 2 (დარგობრივი)	5	125	13	26	2	3	81		VI	ინგლისური ენა 1(დარგობრივი)	ირინე არჯევანიძე
ინგლისური ენა 3 (დარგობრივი)	5	125	13	26	2	3	81		VII	ინგლისური ენა 2 (დარგობრივი)	ირინე არჯევანიძე
ინგლისური ენა 4 (დარგობრივი)	5	125	-	39	2	3	81		VIII	ინგლისური ენა 3 (დარგობრივი)	ირინე არჯევანიძე
საერთაშორისო ურთიერთობების ზოგადი კურსი	5	125	13	26	2	3	81		I	წინაპირობის გარეშე	მამია სურმავა
პოლიტოლოგიის ზოგადი კურსი	5	125	13	26	2	3	81		I	წინაპირობის გარეშე	ქეთევან ჯიჯეიშვილი
მსოფლიოს უახლესი ისტორია	5	125	13	26	2	3	81		I	წინაპირობის გარეშე	სიმონ მასხარაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	5	125	13	26	2	3	81		III	საერთაშორისო ურთიერთობების ზოგადი კურსი	თამარ კიკნაძე
გლობალური პოლიტიკა	5	125	13	26	2	3	81		III	პოლიტოლოგიის ზოგადი კურსი	ქეთევან ჯიჯეიშვილი
საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები	5	125	13	26	2	3	81		II	წინაპირობის გარეშე	ელენე ცხვარიაშვილი როზო ნადირაძე
პოლიტიკის ფილოსოფია	5	125	13	26	2	3	81		III	წინაპირობის გარეშე	სიმონ მასხარაშვილი
ეკონომიკის პრინციპები 1	5	125	13	26	2	3	81		II	წინაპირობის გარეშე	ლალი ვარდიშვილი

ეკონომიკის პრინციპები 2	5	125	13	26	2	3	81	III		ეკონომიკის პრინციპები 1	ლალი ვარდიშვილი
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	5	125	13	26	2	3	81		IV	ეკონომიკის პრინციპები 2	ლალი ვარდიშვილი
ევროკავშირის ინსტიტუტები და მმართველობა	5	125	13	26	2	3	81		VI	ინგლისური ენა 1 (დარგობრივი)	შოთა დოლონიძე
მოლაპარაკების წარმოების ტექნიკა და მეთოდოლოგია	5	125	13	26	2	3	81	VII		წინაპირობის გარეშე	ბელა კოპალიანი
დიპლომატიის საფუძვლები	5	125	13	26	2	3	81	V		წინაპირობის გარეშე	თამარ კიკნაძე
საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარების თეორიები	5	125	13	26	2	3	81	V		საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	ვახტანგ მაისაია
ნაციონალიზმის თეორია და ისტორია	5	125	13	26	2	3	81		IV	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	დავით კუხალაშვილი
იდეოლოგიების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში	5	125	13	26	2	3	81		IV	საერთაშორისო ურთიერთობები ს ზოგადი კურსი; პოლიტოლოგიის ზოგადი კურსი	თამარ კიკნაძე
საერთაშორისო კონფლიქტები და საერთაშორისო უსაფრთხოება	5	125	26	26	2	3	64		VI	საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარების თეორიები	ვახტანგ მაისაია
რელიგიური ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში	5	125	26	13	2	3	81	VII		წინაპირობის გარეშე	ვახტანგ მაისაია
განვითარებადი ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობები	5	125	26	13	2	3	81	VII		საერთაშორისო ურთიერთობები ს ზოგადი კურსი; პოლიტოლოგიის ზოგადი კურსი	ქეთევან ჯიჯეიშვილი
პატარა ქვეყნები საერთაშორისო სისტემაში	5	125	13	26	2	3	81		VI	გლობალური პოლიტიკა	ბელა კოპალიანი
საბაკალავრო ნაშრომი	10	250			2	3			VIII	სპეციალობის სავალდებულო	

										სასწავლო კურსები, გარდა ინგლისური ენა 4 (დარგობრივი)	
--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 25 ECTS (IV, V, VI, VII, VIII სემესტრი)

საერთაშორისო ტერორიზმი	5	125	26	13	2	3	81			ინგლისური ენა 2 (დარგობრივი)	ვახტანგ მაისაია
პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური პრობლემები	5	125	26	13	2	3	81			წინაპირობის გარეშე	ლევან ნიკოლეიშვილი
რუსეთის საგარეო პოლიტიკა	5	125	26	13	2	3	81			ინგლისური ენა 2 (დარგობრივი)	ლევან ნიკოლეიშვილი
ისლამური სამყაროს პოლიტიკა	5	150	26	13	2	3	81			ინგლისური ენა 2 (დარგობრივი)	ელგუჯა ქავთარაძე
ა.შ.შ-ის საგარეო პოლიტიკა	5	125	26	13	2	3	81			ინგლისური ენა 2 (დარგობრივი)	ეკა ბერაია
ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა	5	150	26	13	2	3	81			ინგლისური ენა 2 (დარგობრივი)	ეკა ბერაია
თურქეთის საგარეო პოლიტიკა	5	150	26	13	2	3	81			ინგლისური ენა 2 (დარგობრივი)	თამაზ ახობაძე
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქართველოსთან მიმართებაში	5	125	13	26	2	3	81			წინაპირობის გარეშე	ეკა ბერაია
საერთაშორისო კუმანიტარული სამართალი	5	125	13	26	2	3	81			წინაპირობის გარეშე	გოჩა ოჩიგავა
ადამიანის უფლებები საერთაშორისო სამართალში	5	125	13	26	2	3	81			წინაპირობის გარეშე	ელენე ცხვარიაშვილი როზო ნადირაძე
ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია	5	125	26	13	2	3	81			წინაპირობის გარეშე	მაია ურუშაძე

საზოგადოებასთან ურთიერთობა (Pr) ბიზნესში	5	125	13	26	2	3	81			წინაპირობის გარეშე	სოფიო ქვარცხავა
თავისუფალი სასწავლო კომპონენტები	36	V, VI, VII, VIII სემესტრი									
სულ	240										

სწავლის შედეგების შეფასება

სწავლის შედეგები	სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები				სამიზნე ნიშნულები	
	პირდაპირი		არაპირდაპირი			
	მეთოდი	დრო	მეთოდი	დრო		
1. კურსდამთავრებული აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს და შეუძლია კრიტიკულად გაიაზროს: საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებები, პრინციპები, თეორიები და წყაროები; სამეცნიერო წრეებში არსებული თანამედროვე თეორიული დებატები; საბაზისო თუ მომიჯნავე დისციპლინები; მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, მსოფლიო პოლიტიკის ტენდენციები, გლობალური და რეგიონული გამოწვევები; ევროპასთან ინტეგრაციის საკითხები; ევროკავშირის ისტორია, სტრუქტურა და პოლიტიკა; საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა; არჩეული დისციპლინის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები და სხვ.	კრებსითი გამოცდა (ღია და დახურული კითხვები, ტესტები პრეზენტაცია)	VI, VII, VIII	საბაკალავრო ნაშრომი	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტთა გამოკითხვა; • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; • აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვა; • დამსაქმებლის გამოკითხვა. <p>პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება ლექცია/სემინარებზე (ოქმი)</p>	V, VIII, VIII, დასაქმების I წელი	<ul style="list-style-type: none"> • სწავლის შედეგის მიღწევის დონე მაღალია - 50%\leq • სწავლის შედეგის მიღწევის დონე ეკარგია - 35-50% • სწავლის შედეგის მიღწევის დონე დამაკმაყოფილებელია - 20-34% • სწავლის შედეგის მიღწევის დონე არა დამაკმაყოფილებელია

<p>2. შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</p>	<p>კრებსითი გამოცდა (ღია და დახურული კითხვები, ტესტები პრეზენტაცია)</p> <p>საბაკალავრო ნაშრომი</p>	<p>V, VII, VIII</p>	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტთა გამოკითხვა; • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; • აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვა; • დამსაქმებლის გამოკითხვა. <p>პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება</p> <p>ლექცია/სემინარებზე (ოქმი)</p>	<p>V, VIII ,VIII, დასაქმების I წელი</p>	<ul style="list-style-type: none"> • სწავლის შედეგის მიღწევის დონე მაღალია - 50%\leq • სწავლის შედეგის მიღწევის დონე კარგია - 35-50% • სწავლის შედეგის მიღწევის დონე დამაკმაყოფილებელია - 20-34% • სწავლის შედეგის მიღწევის დონე არა დამაკმაყოფილებელია
<p>3. შეუძლია: საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში წარმატებით გამოყენება; საერთაშორისო პროცესების გაანალიზება, დისკუსიებში მონაწილეობა, კრიტიკული მსჯელობა, საერთაშორისო მოვლენებისადმი საკუთარი პროფესიული ხედვის ჩამოყალიბება; საკუთარი მოსაზრებების არგუმენტებით გამყარება და დასაბუთება;</p>	<p>კრებსითი გამოცდა (ღია და დახურული კითხვები, ტესტები პრეზენტაცია)</p> <p>საბაკალავრო ნაშრომი</p>	<p>V, VII, VIII</p>	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტთა გამოკითხვა; • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; • აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვა; • დამსაქმებლის გამოკითხვა. <p>პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება</p> <p>ლექცია/სემინარებზე (ოქმი)</p>	<p>V, VIII ,VIII, დასაქმების I წელი</p>	<ul style="list-style-type: none"> • სწავლის შედეგის მიღწევის დონე მაღალია - 50%\leq • სწავლის შედეგის მიღწევის დონე კარგია - 35-50% • სწავლის შედეგის მიღწევის დონე დამაკმაყოფილებელია - 20-34% • სწავლის შედეგის მიღწევის დონე არა დამაკმაყოფილებელია
<p>4. შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და</p>	<p>კრებსითი გამოცდა (ღია და დახურული კითხვები, ტესტები პრეზენტაცია)</p> <p>საბაკალავრო ნაშრომი</p>	<p>VI, VII, VIII</p>	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტთა გამოკითხვა; • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; • აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვა; • დამსაქმებლის გამოკითხვა. <p>პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება</p> <p>ლექცია/სემინარებზე (ოქმი)</p>	<p>V, VIII ,VIII, დასაქმების I წელი</p>	<ul style="list-style-type: none"> • სწავლის შედეგის მიღწევის დონე მაღალია - 50%\leq • სწავლის შედეგის მიღწევის დონე კარგია - 35-50% • სწავლის შედეგის მიღწევის დონე დამაკმაყოფილებელია - 20-34% • სწავლის შედეგის მიღწევის დონე არა დამაკმაყოფილებელია

საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.					
5. კურსდამთავრებულს აქვს: საერთაშორისო ურთიერთობების ამა თუ იმ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მასალებისა და მონაცემების შეგროვების, გააზრების, სისტემატიზაციისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; მიღებული ინფორმაციის დამუშავების, შეფასების, განზოგადების შედეგად შესაბამისი გადაწყვეტილების ჩამოყალიბების უნარი.	კრებსითი გამოცდა (ღია და დახურული კითხვები, ტესტები პრეზენტაცია) საბაკალავრო ნაშრომი	VI, VII, VIII	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტთა გამოკითხვა; • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; • აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვა; • დამსაქმებლის გამოკითხვა. <p>პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება ლექცია/სემინარებზე (ოქმი)</p>	V, VIII ,VIII, დასაქმების I წელი	<ul style="list-style-type: none"> • სწავლის შედეგის მიღწევის დონე მაქსიმალურია - 50%\leq • სწავლის შედეგის მიღწევის დონე კარგია - 35-50% • სწავლის შედეგის მიღწევის დონე დამაკმაყოფილებელია - 20-34% • სწავლის შედეგის მიღწევის დონე არა დამაკმაყოფილებელია
6. კურსდამთავრებულს აქვს: საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის მომზადების უნარი როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე შესაბამისი დარგობრივი ლიტერატურის დამუშავების მეშვეობით; სწავლისა და კვლევის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენების უნარი; პროფესიულ წრეებთან თუ არასპეციალისტებთან დებატების წარმართვის, მოლაპარაკებების წარმოების, დისკუსიებში ჩაბმის, საკუთარი მოსაზრებების წამოყენებისა და დაცვის უნარი. მის ხელთ არსებული ინფორმაციის	კრებსითი გამოცდა (ღია და დახურული კითხვები, ტესტები პრეზენტაცია) საბაკალავრო ნაშრომი	VI, VII, VIII	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტთა გამოკითხვა; • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; • აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვა; • დამსაქმებლის გამოკითხვა. <p>პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება ლექცია/სემინარებზე (ოქმი)</p>	V, VIII ,VIII, დასაქმების I წელი	<ul style="list-style-type: none"> • სწავლის შედეგის მიღწევის დონე მაქსიმალურია - 50%\leq • სწავლის შედეგის მიღწევის დონე კარგია - 35-50% • სწავლის შედეგის მიღწევის დონე დამაკმაყოფილებელია - 20-34% • სწავლის შედეგის მიღწევის დონე არა დამაკმაყოფილებელია

ფართო საზოგადოებისთვის წერილობით ან პრეზენტაციის სახით წარდგენის უნარი.					
7. კურსდამთავრებულს აქვს: საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი; დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის მიღების უნარი;	კრებსითი გამოცდა (ღია და დახურული კითხვები, ტესტები პრეზენტაცია) საბაკალავრო ნაშრომი	VI, VII, VIII	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტთა გამოკითხვა; • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; • აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვა; • დამსაქმებლის გამოკითხვა. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება ლექცია/სემინარებზე (ოქმი)	V, VIII ,VIII, დასაქმების I წელი	<ul style="list-style-type: none"> • სწავლის შედეგის მიღწევის დონე მაქსიმალურია - 50%\leq • სწავლის შედეგის მიღწევის დონე კარგია - 35-50% • სწავლის შედეგის მიღწევის დონე დამაკმაყოფილებელია - 20-34% • სწავლის შედეგის მიღწევის დონე არა დამაკმაყოფილებელია
8. კურსდამთავრებულს აქვს: ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძობა, პროფესიული და ეთიკური ნორმებისა და აკადემიური პატიოსნების დაცვის უნარი; საერთაშორისო დონეზე აღიარებული ზოგადსაკაცობრიო თუ ეროვნულ დონეზე არსებული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.	კრებსითი გამოცდა (ღია და დახურული კითხვები, ტესტები პრეზენტაცია) საბაკალავრო ნაშრომი	VI, VII, VIII	<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტთა გამოკითხვა; • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; • აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვა; • დამსაქმებლის გამოკითხვა. პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება ლექცია/სემინარებზე (ოქმი)	V, VIII ,VIII, დასაქმების I წელი	<ul style="list-style-type: none"> •

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევა გულისხმობს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას, რომელიც მოიცავს პროგრამის თითოეულ კომპონენტში დატვირთვის სხვადასხვა სახეებს (ლექციაზე დასწრება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მეცადინეობას და სხვ.) მისი თავისებურებიდან გამომდინარე. თითოეული სასწავლო კურსისათვის გამოიყენება სწავლების ის მეთოდები და ხერხები, რაც განაპირობებს ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული

სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამით მისაღწევ შედეგებთან. სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სწავლების/სწავლის მეთოდების ერთობლიობით შექმნილია საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სწავლების/სწავლის ერთიანი მეთოდოლოგია. სასწავლო პროცესის გაღრმავებისა და გამრავალფეროვნების მიზნით დაგეგმილია სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, სხვადასხვა ქართველი და უცხოელი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის საჯარო ლექციები და სხვ. სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები:

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება მიზნად ისახავს კომპეტენციების გამომუშავებას. სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება სტუდენტს აქცევს სწავლების რეალურ სუბიექტად.

პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება. სწავლების პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის, სტუდენტთა აქტიურად ჩართულობის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

ახსნა-განმარტებითი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მიიღწევა ცოდნა და გაცნობიერების კომპეტენცია;

ინდუქციური - სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. ეს ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების, ანალიზისა და ცოდნის უნარების გამომუშავებას;

დედუქციური - სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. ღნიშნულით მიიღწევა ლოგიკური აზროვნების, ანალიზისა და ცოდნის უნარები;

ანალიზის - სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება. აღნიშნული მეთოდით მიიღწევა ანალიტიკური აზროვნების, არგუმენტირებისა და დასკვნების გამოტანის უნარი;

სინთეზის - სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;

დისკუსია/დებატების - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას, რომლის შედეგადაც მიიღწევა არგუმენტირებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები;

ჯგუფური მუშაობის - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. აღნიშნული მეთოდის გამოყენება სტუდენტებს გამოუმუშავებთ ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევებს, კომუნიკაციის უნარს;

შემთხვევის ანალიზის (Case study) - მეთოდი, როდესაც პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს, რაც ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების, არგუმენტირებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების გამომუშავებას;

გონებრივი იერიშის (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. ამ დროს სტუდენტებს უმუშავდებათ ლოგიკური აზროვნების, არგუმენტირების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ღირებულებებისა და მყისეული გადაწყვეტილებების მიღების უნარები;

წერიტი მუშაობის მეთოდი - გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ესსეს შესრულება და ა. შ.

პრეზენტაციის მომზადება - აღნიშნული მეთოდი (ვიზუალური, ვერბალური) გამოიყენება, რათა მრავალმხრივ, ეფექტურად და თვალსაჩინოდ წარმოჩნდეს დამუშავებული თუ წინასწარ შესრულებული მასალა. ამ გზით სტუდენტებს გამოუმუშავდებათ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები;

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია. იგი ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს;

დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს ცოდნა-გაცნობიერებისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავებას;

როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს. აღნიშნული საუკეთესო მეთოდია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ცვლილებების პირობებში გადაწყვეტილებათა დამოუკიდებლად მიღების, გუნდური მუშაობის, გუნდის წევრებს შორის ურთიერთსწავლებისა და თანამშრომლობის, ცოდნისპრაქტიკაში გამოყენების უნარების შესაძენად;

ევრისტიკული მეთოდი - ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანების ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. ამ მეთოდის საშუალებით მიიღწევა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის გამოტანისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;

თანამშრომლობითი სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს; სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებს ლექტორი თვითონ ირჩევს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სწავლებისა და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა (არასავალდებულო, სარეკომენდაციო ფორმა, ცხრილში მიუთითეთ შესაბამისი მეთოდები)

- H (high) – მაღალი
- M (medium) – საშუალო
- L (low) – დაბალი

მეთოდები	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8
ლექცია;	H	H	H	H	H	H	H	H
სემინარი;	M	M	M	M	M	M	L	M

ჯგუფში მუშაობა;	H	M	M	M	M	M	M	M
პრაქტიკული მუშაობა;	H	H	H	H	H	H	H	H
ელექტრონული რესურსით სწავლება;	H	H	H	H	H	H	H	H
ელექტრონული სწავლება;	M	M	M	M	M	M	M	M
შემთხვევის ანალიზი	H	H	H	H	H	H	H	H
გონებრივი იერიში	H	H	H	H	H	H	H	H
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება	H	H	H	H	H	H	H	H
ინტერაქტიური მეთოდი;	M	M	M	M	M	M	M	M

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა:

კრედიტის მიღება შესაძლებელია სტუდენტის მიერ მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღებით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N3 2007 წლის 5 იანვარი ქ. თბილისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ.)

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის ცოდნის შეფასება ითვალისწინებს:

- აქტივობის შეფასებას;
- შუალედური გამოცდების შეფასებებს;
- დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 21 ქულა.

სტუდენტს უფლება ეძლევა გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, თუ მას აქტივობის შეფასების და შუალედური შეფასებების ქულათა ჯამით დაგროვებული აქვს ქულათა მაქსიმუმის არანაკლებ 30%. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტმა დასკვნით გამოცდაზე დააგროვა დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 50%.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურადაა აღწერილი ის მექანიზმები და კომპონენტები, რომელთა მიხედვით სტუდენტი აგროვებს აქტივობისათვის გათვალისწინებულ ქულებს;

შუალედური გამოცდა/გამოცდები ტარდება წერთი/ზეპირი/ტესტური ფორმით.

დასკვნითი გამოცდა ტარდება წერთი/ზეპირი/ტესტური ფორმით საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში.

შენიშვნა: სალექციო კურსის თემები და სამუშაო ჯგუფში მუშაობის თემატიკა ერთნაირია. სალექციო კურსის მოსმენის შემდეგ, იმავე თემაზე ჯგუფში მუშაობას პრაქტიკული შედეგი აქვს და სტუდენტები ადვილად იგებენ და ითვისებენ შესასწავლ მასალას.

დასაქმების სფეროები:

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზნები და შედეგები ორიენტირებულია შრომისა და დასაქმების თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებზე. პროგრამის დასაქმების სფერო მრავალფეროვანია. კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებასა თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციასა და ნებისმიერი ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულში (სამინისტროები და სხვა საჯარო სამსახურები, საელჩოები და საკონსულო სამსახურები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები და სხვ.), რომელსაც ესაჭიროება საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი.

სწავლის გაგრძელების საშუალება:

კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

პროგრამა ხორციელდება შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. უსდ-ში ფუნქციონირებს: ბიბლიოთეკა (სადაც ხელმისაწვდომია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები), ორი კომპიუტერული რესურს-ცენტრი (სტუდენტებისათვის კომპიუტერებისა და ინტერნეტის თავისუფალი წვდომით), საკონფერენციო დარბაზი.

პროგრამის ადამიანური რესურსები:

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, რომელთაც აქვთ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი პროფესიული გამოცდილება.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

№	გვარი, სახელი	სტატუსი	სასწავლო კურსები
1.	მანანა შელია	ასოცირებული პროფესორი ფილოლოგიის დოქტორი	ინგლისური ენა 1 ინგლისური ენა 2 ინგლისური ენა 3 ინგლისური ენა 4
2.	ოთხოზორია ნონა	ასოცირებული პროფესორი	ინფორმაციული ტექნოლოგიები
3.	სიფიო ძნელაძე	პროფესორი	აკადემიური წერა და კრიტიკული აზროვნება
4.	გიული კალატოზიშვილი ლალი რატიანი	მოწვეული ასოცირებული პროფესორი	ფრანგული ენა 1/გერმანული ენა 1 ფრანგული ენა 2/გერმანული ენა 2 ფრანგული ენა 3/გერმანული ენა 3 ფრანგული ენა 4/გერმანული ენა 4
5.	ირინე არჯევანიძე	ასოცირებული პროფესორი	ინგლისური ენა 1 (დარგობრივი) ინგლისური ენა 2 (დარგობრივი) ინგლისური ენა 3 (დარგობრივი) ინგლისური ენა 4 (დარგობრივი)
6.	თამარ კიკნაძე	მოწვეული	საერთაშორისო ურთიერთობების ზოგადი კურსი
7.	სიმონ მასხარაშვილი	ასოცირებული პროფესორი	მსოფლიოს უახლესი ისტორია პოლიტიკის ფილოსოფია
8.	თამარ კიკნაძე	მოწვეული	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია
9.	ქეთევან ჯიჯეიშვილი	ასოცირებული პროფესორი	გლობალური პოლიტიკა განვითარებადი ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობები პოლიტოლოგიის ზოგადი კურსი
10.	ელენე ცხვარიაშვილი რობო ნადირაძე	მოწვეული მოწვეული	საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები
11.	გოჩა ოჩიგავა	ასოცირებული პროფესორი	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი
12.	ელენე ცხვარიაშვილი რობო ნადირაძე	მოწვეული მოწვეული	ადამიანის უფლებები საერთაშორისო სამართალში

13.	ლალი ვარდიშვილი	ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკის პრინციპები 1 ეკონომიკის პრინციპები 2 საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
14.	შოთა დოღონიძე	მოწვეული	ევროკავშირის ინსტიტუტები და მმართველობა
15.	ბელა კოპალიანი	მოწვეული	მოლაპარაკების წარმოების ტექნიკა და მეთოდოლოგია პატარა ქვეყნები საერთაშორისო სისტემაში
16.	თამარ კიკნაძე	მოწვეული	დიპლომატიის საფუძვლები იდეოლოგიების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში
17.	ვახტანგ მაისაია	ასისტენტ-პროფესორი	საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარების თეორიები რელიგიური ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში საერთაშორისო ტერორიზმი
18.	დავით კუხალაშვილი	მოწვეული	ნაციონალიზმის თეორია და ისტორია
19.	ბესიკ ობოლაძე	პროფესორი	საერთაშორისო კონფლიქტები და საერთაშორისო უსაფრთხოება
20.	ლევან ნიკოლეიშვილი	მოწვეული	პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური პრობლემები რუსეთის საგარეო პოლიტიკა
21.	ელგუჯა ქავთარაძე	ასისტენტ-პროფესორი	ისლამური სამყაროს პოლიტიკა
22.	ეკა ბერაია	ასისტენტ-პროფესორი	ა.შ.შ-ის საგარეო პოლიტიკა ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქართველოსთან მიმართებაში
23.	თამაზ ახოზაძე	მოწვეული	თურქეთის საგარეო პოლიტიკა
24.	მაია ურუშაძე	ასისტენტი	ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია
25.	სოფიო ქვარცხავა	მოწვეული	საზოგადოებასთან ურთიერთობა (Pr) ბიზნესში